სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-07/79

ქ. თბილისი

29 აპრილი 2020 წ.

2019-2020 სასწავლო წლის მარტის, აპრილის, მაისის, ივნისისა და ივლისის თვეებში სტუ-ის ბაკალავრიატის წარჩინებული სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევის წესის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 23 აპრილის №346391 ბრძანების „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს პროგრამის დამტკიცების შესახებ" და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 29 აპრილის №01-05-02/17 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს 2019-2020 სასწავლო წლის მარტის, აპრილის, მაისის, ივნისისა და ივლისის თვეებში სტუ-ის ბაკალავრიატის წარჩინებული სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევის წესი

2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**